პრეზიდენტ ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველ პრეზიდენტთა
პირველი მრჩეველი



მორმონის წიგნი პიროვნული გზამკვლევია

ამაღლებულ მდგომარეობაში ყოფნისას, ყოველ ჩვენთაგანს გვიჩნდება მამაზეციერთან დაბრუნებისა და მასთან მარადიული ცხოვრების სურვილი. მან გვიბოძა თავისი საყვარელი ძე, ჩვენი მხსნელი, რათა ეჩვენებინა ჩვენთვის გზა და გვესწავლა ამ გზით სიარული. მან მოგვცა წინასწარმეტყველები, რათა გვეხილა გზა. წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა, შთაგონებით გადათარგმნა უძველესი დროის წინასწარმეტყველების ჩანაწერები, რომლებიც წარმოადგენენ მორმონის წიგნს. ეს არის ღმერთთან მიმავალი გზის ჯეშმარიტი წინამძღვარი.

იოსებ სმითმა ასე წარმოსთქვა, ამ უძვირფასესი წიგნის შესახებ: „მე განვუცხადე ძმებს, რომ ეს წიგნი არის დედამიწის ზურგზე არსებულ წიგნთა შორის ყველაზე ჯეშმარიტი წიგნი და ჩვენი რელიგიის სომის ქვა და რომ ადამიანი ყველაზე ახლოს მივა ღმერთთან ამ წიგნის რჩევა-დარიგებათა დაცვით, ვიდრე სხვა რომელიმე წიგნის მცნებათა ცხოვრებით.“[1]

მორმონის წიგნში მოცემული დარიგებანი წარმოადგენენ უშუალოდ ღმერთის მცნებებს. ზოგი მათგანი არის ჩვენი მაცხოვრის პირდაპირი ბრძანება წინასწარმეტყველთათვის მასზედ, თუ როგორ ვიცხოვროთ ჩვენ და რანი უნდა გავხდეთ. მორმონის წიგნი გვაძლევს მაცხოვრის მაგალითს და სიმტკიცეს, ჩვენი რწმენის გასაზრდელად, რათა დავემორჩილოთ მის ბრძანებას და უყოყმანოდ მივყვეთ მას. ეს წიგნი აღვსილია ქრისტეს მოძღვრებით ჩვენს გასაძღოლად. აი ამის მაგალითი მეორე ნეფიდან:

იესომ მიმართა ადამიანებს: მომყევით მე. განა შეიძლება, რომ გავყვეთ იესოს მამის მცნებების დაცვის სურვილის გარეშე?

და მამამ თქვა: მოინანიეთ და მოინათლეთ ჩემი საყვარელი ძის სახელით (იხ. 2 ნეფი 31:10–11).

წიგნი მარტივად გვიჩვენებს, რომ სწორ და ვიწრო გზაზე დასარჩენად ჩვენ წმინდა სულის ცეცხლით ნათლობა უნდა მივიღოთ. ჩვენ გვასწავლეს, რომ ყოველთვის უნდა ვილოცოთ ქრისტეს სახელით და თუ ამას გავაკეთებთ არა უნიათოდ, მაშინ მივიღებთ დაპირებას, რომ თუ მივისწრაფებით ქრისტეში ურყევი რწმენით, ნათელი იმედით, ღმერთისა და ყოველი ადამიანის მიმართ სიყვარულით, ქრისტეს ზეიმური სიტყვით გაჯერებულნი და თუ ბოლომდე გავძლებთ, მამა

ზეციერი დაგვლოცავს მარადიული სიცოცხლით (იხ. 2 ნეფი 31:20).

მორმონის წიგნი, მეფე ბენიამინის საოცარი ქადაგების მაგალითზე, მარტივად გვიხსნის თუ რას ნიშნავს სიყვარული ღმერთისა და ყოველი ადამიანის მიმართ. როდესაც ჩვენი ბუნება იცვლება ქრისტეს მსხვერპლით ჩვენი ცოდვების გამოსასყიდის ძალის მადლით და ჩვენი ერთგული მორჩილებით, მცნებების მიმართ, ჩვენ ღმერთის სიყვარულით აღვივსებით (იხ. მოსია 4:1–12).

მორმონის წიგნი აგრეთვე გვაძლევს რწმენას იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია ისე განვიწმინდოთ ამ ცხოვრებაში, რომ აღარ გვექნება ბოროტების ჩადენის არანაირი სურვილი (იხ. მოსია 5:2). ამის იმედი გვამხნევებს და გვანუგეშებს იმ დროს, როდესაც სატანა ცდილობს გვაცდუნოს და აგვიბნიოს თავგზა.

ყოველთვის, როდესაც ვკითხულობ მორმონის წიგნის თუნდაც რამოდენიმე სტრიქონს, მე ვგრძნობ თუ როგორ მტკიცდება ჩემი დამოწმება ამ წიგნის ჭეშმარიტების მიმართ და იმაზე, რომ იესო არის ქრისტე და რომ ჩვენ შეგვიძლია მივყვეთ მას და დავბრუნდეთ შინ, ყველა იმ ადამიანებთან ერთად, ვიმც გვიყვარს. ამიტომ ეს ჩემთვის წიგნთა წიგნია. ეს ღმერთის სიტყვაა.

მე ვლოცულობ მასზედ, რომ ჩვენთან ერთად ყველა ჩვენი საყვარელი ადამიანი, ყოველდღიურად უხვად ღებულობდეს ამ ღვთაებრივი წყაროდან. იესო ქრისტეს სახელით მე ვამოწმებ, რომ ეს ჭეშმარიტი გზამკვლევია.

შენიშვნა:

1. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007), 64.

ამ მოწოდების სწავლება.

„როდესაც წმინდა წერილებსა და უკანასკნელი დღეების წინასწარმეტყველთა სიტყვებს, ჩვენი სწავლების წყაროდ ვაქცევთ, სულიწმინდა ხდება ჩვენი დამმოწმებელი. ეს ანიჭებს ჩვენს სწავლებას ღმერთის ძალას ხალხის დასარწმუნებლად (იხ. მოძღვრება და აღთქმები 11:21)“ (*Teaching, No Greater Call* [1999], გვ. 51). გადაიკითხეთ პრეზიდენტ აირინგის გზავნილის ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები, თან გაიხსენეთ იოსებ სმითის მტკიცებულება მორმონის წიგნის შესახებ. მოიპატიჟეთ ოჯახის წევრები, რათა გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა იმაზე, თუ როგორ უახლოვდებიან ისინი ღმერთს, მორმონის წიგნის სწავლებათა ცხოვრებით.

„მოსწავლეებს, წმინდა წერილების განხილვისას, გამოუმუშავდებათ წმინდა წერილების შესასწავლად აუცილებელი საკუთარი უნარჩვევები“ (*Teaching, No Greater Call,* გვ. 54). იკითხეთ ამ გზავნილში მითითებული წმინდა წერილები, ეძიეთ მათში მოხსენებული კანონები და იმსჯელეთ მათზე.

ახალგაზრდები.

ჩემი საკუთარი მორმონის წიგნი.

ჰილარი ჰოლბრუკის მიერ

2005 წ. აგვისტოს, როდესაც პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ (1910–2008) მიმართა ეკლესიის წევრებს თხოვნით, წლის ბოლომდე წაეკითხათ მორმონის წიგნი, მე სიტყვა მივეცი საკუთარ თავს, რომ წავიკითხავდი მთლიან წიგნს. ჩემთვის ცნობილი იყო ამ წიგნის შინაარსი, მაგრამ თვითონ წიგნი თავიდან ბოლომდე წაკითხული არ მქონდა. მე გადავწყვიტე ამ დაპირების შესრულება.

მე მასწავლეს წმინდა წერილების ცხოვრებაში გამოყენება და მათი გათავისება. ასე, რომ კითხვისას ყოველი გვერდის მთავარ აზრს ვაყალიბებდი და წიგნის კიდეებზე ვწერდი. ამავე დროს ხაზს ვუსვამდი იმ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც მეორდებოდა, რათა მათი მნიშვნელობა გამომეყო.

წმინდა წერილებში ნახსენები სახელების გვერდით ჩემს სახელს ვწერდი. ამით ჩემს თავს ვახსენებდი, რომ სხვებისთვის მიმართული ღმერთის სიტყვა, ასევე შეიძლება ჩემთვისაც იყოს მიმართული. მაგ, 2 ნეფი 2:28 ჩავწერე ჩემი სახელი: „და ახლა, ჰილარი, იპოვე დიდებული შუამავალი და შეისმინე მისი დიადი მცნებები.“ რაც უფრო მეტად ვითავისებდი მორმონის წიგნს, მით უფრო მეტად ამაღლებულ სიხარულს მანიჭებდა ამ წიგნის ყოველდღიური კითხვა.

ყოველდღიურმა კითხვამ ჩემი ლოცვები უფრო გულწრფელი და პირადული გახადა. ასევე მე შევძელი მთელი ყურადღების გაკვეთილებზე გადატანა და მივყვებოდი სული წმინდის კარნახს, სხვებთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. წელიწადის ბოლო დღეს მე დავამთავრე მორმინის წიგნის კითხვა.

ზუსტად, მაშინ აღვიქვი თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მორმონის მთლიანი წიგნის წაკითხვა, სხვა წმინდა წერილებთან ერთად და მე კვლავაც არა ერთხელ წავიკითხავ მათ.

ბავშვები

შინ დასაბრუნებელი გზამკვლევი

როგორ იგრძნობდით თავს, თუკი დაიკარგებოდით და შინ დასაბრუნებელი გზა არ გეცოდინებოდათ? გაგეხარდებოდათ, თუკი გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც გზას მიგანიშნებდათ? პრეზიდენტ აირინგის თქმით, მორმონის წიგნი არის ჩვენი მამაზეციერთან დაბრუნების გზის მაჩვენებელი.

ქვემოთ მოცემულია მორმონის წიგნიდან ამოკრეფილი რამოდენიმე რჩევა, რომელნიც გვეუბნებიან ჩვენ იმას, თუ როგორ დავბრუნდეთ შინ. წაიკითხეთ 2 ნეფი 31:10, 11, 20. ყოველი მოცემული ფრაზის ქვემოთ მიაწერეთ, მორმონის წიგნის შესაბამისი მუხლი. ერთ-ერთი მუხლის ორჯერ გამოყენება მოგიწევთ.

მოინანიე და მოინათლე.

იქონიე ნათელი იმედი.

გიყვარდეს ღმერთი და ყოველი ადამიანი.

მიჰყევი ქრისტეს.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *First Presidency Message, September 2010.* Georgian. 09369 131

CHARITY NEVER FAILETH 1842
რწმენა • ოჯახი • მოწყალება.

ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების პასუხისმგებლობა

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

წმინდა წერილებიდან: იგავები 22:6; ეფესელთა 6:4; ენოსი 1:1; ალმა 53:20–21; 56:47; 57:27

აღზრდა-განათლების გარეშე, ჩვენს მოზარდ თაობას შესაძლოა შეექმნას ისეთივე საშიშროება, როგორც ეს აღწერილია მოსია 26. ახალგაზრდობის უმეტესობამ, არ ირწმუნა მამა-პაპათა ტრადიციები და სამუდამოდ გამოეყო თავის რჯულს. ჩვენს მოზარდ თაობას შესაძლოა ზუსტად ასევე აებნას გზა, თუკი ისინი ვერ გააცნობიერებენ თავიანთ როლს მამა ზეციერის გეგმიდან.

ასე, რომ რით იქნება დაცული ჩვენი მოზარდი თაობა? ეკლესიაში ჩვენ მათ, თავის გადარჩენის საფუძვლებს ვასწავლით, ეს საფუძვლები კი ოჯახის საფუძვლებია, ის საფუძვლები, რომლებიც დაეხმარება ჩვენს მოზარდ თაობას, როგორც ოჯახის შექმნაში, განსწავლაში, ასევე მათ წეს-ჩვეულებებისა და აღთქმების მომზადებაში—შემდგომ ეს თაობა, თვითონ აღზრდის მომდევნო თაობას და ა.შ.

ჩვენ, როგორც მშობლები, ხელმძღვანელები და ეკლესიის წევრები, ვამზადებთ ამ თაობას აბრამის კურთხევის მისაღებად, ტაძარში შესასვლელად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ იმაში, რომ ნათლად გავაგებინოთ მათ ოჯახზე მოწოდების მოძღვრების ძირითადი აზრები. ჩვენ დედობისა და მამობის მარადიული როლი და პასუხისმგებლობა გვაკისრია. ყოველი ჩვენთაგანი მამაზეციერის წინაშე მის გეგმაში ქალის ან კაცის როლის შესრულებაზეა პასუხისმგებელი.

ჩვენი მოძღვრების ზიარება ნებისმიერ გარემოშია შესაძლებელი. ჩვენ უნდა პატივისცემით მოვიხსენიოთ ქორწინება და ოჯახი. მოზარდი თაობა ჩვენს მაგალითზე აღივსება, ურყევი იმედით და ცოდნით—არა მხოლოდ იმ სიტყვების გამო, რასაც ჩვენ წარმოვთქვამთ, არამედ იმ ოჯახური განცდებითა და გრძნობებით, რასაც ჩვენ ვამჟღავნებთ მათთან ურთიერთობაში.

ჯული ბ. ბექი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი.

ჩვენი ისტორიიდან

თავის, 1995 წ. 23 სექტემბრის მიმართვაში მოწყალების საზოგადოების დების მიმართ პრეზიდენტ გორდონ ბ. ჰინკლიმ თქვა: ,,სამყარო, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ, წარმოადგენს ღირებულებათა ცვალებადობის მშფოთვარე ასპარეზს. გამაყრუებელი შეძახილები მოგვმართავენ ჩვენ, რათა გადავაბიჯოთ ხან ერთ და ხან მეორე, დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ მორალურ პრინციპებს.“[1] მაშინ პრეზიდენტ ჰინკლიმ წარუდგინა დებს, ეკლესიის წევრებს და ამგვარად, საბოლოო ჯამში, ყოველ ადამიანს, „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს.“

მომდევნო წლების განმავლობაში ეს წინასწარმეტყველური დოკუმენტი ბევრ სხვადასხვა ენაზე გადაითარგმნა და მიეწოდა მსოფლიოს ლიდერებს. იგი ამ დოკუმენტით, თხოვნით მიმართავს მოქალაქეებსა და მსოფლიო ლიდერებს, „რათა ჩაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, რომელიც მხარს დაუჭერს და გააძლიერებს ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად შემადგენელ ნაწილს.“[2]

ეს მოწოდება გახდა უკანასკნელი დღეების

წმინდანთა ოჯახის მიმართ რწმენის ძირითადი მტკიცებულება, ისეთი, რომელსაც უნდა ჩავეჭიდოთ და ვიცოდეთ, რომ მის რჩევა-დარიგებების შესაბამისად ცხოვრება განამტკიცებს ჩვენს ოჯახებსა და კერიას.

შენიშვნები:

1. გორდონ ბ. ჰინკლი, "Stand Strong against the Wiles of the World," *Ensign,* 1995 წ. ნოემბერი, გვ. 99.
2. იხილეთ „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *Liahona,* 2004 წ. ოქტომბერი, გვ. 49.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია დავეხმარო მე ჩემს დებს, მიმართვა, „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" გამოყენებაში მოზარდი თაობის აღსაზრდელად? იფიქრეთ თქვენი მეურვეობის, მრევლის, ოჯახის ან საზოგადოების წევრებზე და ყოველივე იმ ადამიანზე, ვისაც სჭირდება თქვენი ყურადღება და სიყვარული.

2. როგორ უნდა აღვზარდო მოზარდი თაობა? იფიქრეთ თქვენი მეურვეობის, მრევლის, ოჯახის ან საზოგადოების წევრებზე და ყოველივე იმ ადამიანზე, ვისაც სჭირდება თქვენი ყურადღება და სიყვარული.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.reliefsociety.lds.org.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message, September 2010.* Georgian. 09369 131